LEPL - International
Arts Festivals
Centre Of Tbilisi

Digitally signed by LEPL - International Arts Festivals Centre Of Tbilisi
Date: 2019.10.16 20:24:20 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„1" ოქტომბერი 2019 წელი

ქ.თბილისი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორცვიელებაში ი/მ პეტრე არაშვილის მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის"
დირექტორი

ეკატერინე მაზმიშვილი

ეკა მაზმიშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01/10 - 6

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „1“ ოქტომბერი 2019 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ **სსიპ “თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი” დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ **ი/მ პეტრე არაშვილი პ/ნ 01024071216** (შემდგომში „მიმწოდებელი”) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **2019 წლის “თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის” ქართული სპექტაკლების პროგრამაზე მოწვეული სტუმრებისათვის 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა (CPV-60100000) – აეროპორტის ტრანსფერი, კერძოდ:**

აეროპორტის ტრანსფერი სედანი - 43 დახვედრა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე;

აეროპორტის ტრანსფერი სედანი - 40 გაცილება 2019 წლის 4 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე.

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **4980.00 (ოთხიათასცხრაასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასიშეადგენს

ავტომანქანა სედანით (1 ტრანსფერისათვის) – 60 ლარს; 83 ტრანსფერი X 60 ლარი=4980 ლარს

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება. მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს **2019 წლის 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით**

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქართული სპექტაკლების პროგრამის კოორდინატორი თამარ ლალიაშვილი.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 1 (ერთი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

11.3. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 8 ნოემბრამდე

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"
მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

მიმწოდებელი:

ი/მ პეტრე არაშვილი
პ/ნ 01024071216
მის: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 12 ბ127
ს.ს თი ბი სი ბანკი
ბ.კ TBCBGE22
ა.ა GE89TB7527145061100086

დირექტორი:

ეკატერინე მაზმიშვილი

ეკ მაზმიშვილი

პეტრე არაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი „7" ოქტომბერი 2019 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრსა" და ი/მ პეტრე არაშვილს შორის 2019 წლის 1 ოქტომბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების №01/10-6-ის ფარგლებში გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით, ი/მ პეტრე არაშვილთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი:

სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის"
ქართული სპექტაკლების პროგრამის კოორდინატორი

თამარ ლალიაშვილი.

მიღება-ჩაბარების აქტი #01/10-6

ქ. თბილისი „7" ოქტომბერი 2019 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი: ერთის მხრივ **სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი" მისი** ქართული სპექტაკლების პროგრამის კოორდინატორის თამარ ლალიაშვილის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ პეტრე არაშვილი პ/ნ 01024071216** 2019 წლის 1 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება №01/10-6-ის თანახმად ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია შემდეგი სახის მომსახურება:

2019 წლის "თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის" ქართული სპექტაკლების პროგრამაზე მოწვეული სტუმრებისათვის 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა (CPV-60100000) – აეროპორტის ტრანსფერი, კერძოდ:

აეროპორტის ტრანსფერი სედანით - 43 დახვედრა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე;

აეროპორტის ტრანსფერი სედანით - 40 გაცილება 2019 წლის 4 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე.

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს. საერთო თანხა შეადგენს **4980.00 (ოთხიათასცხრაასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრთან" ხოლო მეორე – ი/მ პეტრე არაშვილთან.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"
მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

მიმწოდებელი:

ი/მ პეტრე არაშვილი
პ/ნ 01024071216
მის: დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 12 ბ127
ს.ს თი ბი სი ბანკი
ბ.კ TBCBGE22
ა.ა GE89TB7527145061100086

ქართული სპექტაკლების პროგრამის კოორდინატორი
თამარ ლალიაშვილი

პეტრე არაშვილი